საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მამისთვალიშვილი ელდარ მიხეილის ძე

მამისთვალიშვილი ელდარ მიხეილის ძე (დ. 27. VII. 1939, გორი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1983), პროფესორი (1985). დაამთავრა გორის სახელმწ. სასწავლო პედ. ინ-ტის ისტორია-ფილოლ. ფაკ-ტი (1961); 1972–73 მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოლოგიის ინ-ტში, 1972-იდან – გორის სახელმწ. პედ. ინ-ტში (ახლანდ. გორის სახელმწ. სასწავლო უნ-ტი), 1986 იქვე იყო პედ. კათედრის გამგე; 1990-იდან – საქართვ. და მსოფლიო ისტ. კათედრის გამგე, 2010-იდან – ისტ. და არქეოლ. ცენტრის ხელმძღვანელი. მ-ის კვლევის სფეროებია ქართულ-ებრაული ურთიერთობა, ფეოდ. ხანის საქართვ. საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XI–XVIII სს.). თარგმნილი და გამოცემული აქვს „XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ“ (1981); „თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, 1577–1581“ (1987); „რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ“ (1993).

მ-ის თაოსნობით დაარსდა გაზეთი „გორის უნივერსიტეტი“ (2001–03 – რედაქტორი), ისტ. და არქეოლ. ცენტრის შრომათა კრებული (2011-იდან რედაქტორი, გამოიცა 22 ტომი), ხელმძღვანელობდა დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ საერთაშ. კონფერენციებს (2014-იდან, ჩატარდა რვაჯერ). იყო საქართვ. მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998). ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა მეცნიერული კვლევის საქმეში შეტანილი წვლილისათვის, აგრეთვე გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები.

თხზ.: საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XV ს. ნახევარსა და XVI ს-ში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981; გორის ისტორია, [ტ.] 1–2, თბ., 1984–1999, გამოც. მე-2, თბ., 2018–2019; ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალიზმის

ხანა, თბ., 1995 (რუს. 2011, ინგლ. 2014); ამილახვრები, გორი, 1996; ქართველები და ბიბლიური სამყარო, გორი, 1998; ქრისტეს კვართის ისტორია (ქართ, რუს. ენებზე), გორი, 2003; საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI–XVII სს.), თბ., 2008; იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი – თამარ მეფის საბოლოო განსასვენებელი?! (ქართ., ინგლ., რუს. ენებზე), თბ., 2014; იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბ., 2016; საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. 1–6, თბ., 2009–2022; ლუარსაბ I და სვიმონ I, თბ., 2018; თეიმურაზ I, თბ., 2019; როსტომი და ვახტანგ V, თბ., 2020.

მამისთვალოვი აბრამ იცხაკის ძე (1.X. 1921, ცხინვალი, – 19. XI. 2005, ქ. ბათ-იამი, ისრაელი), მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი. 1938 უგამოცდოდ ჩაირიცხა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ფილოს. ფაკ-ტზე, თუმცა ომის დაწყების გამო სწავლა ვერ დაასრულა. ლექსების გამოქვეყნება დაიწყო 1938-იდან. 1945–77 მუშაობდა გაზ. „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციაში. 1974 იანვარიდან საცხოვრებლად გადავიდა ისრაელში, სადაც რედაქტორობდა ქართულენოვან ჟურნალ-გაზეთებს.

მ-ის ნაწარმოებები თარგმნილია რუს. და ებრ. ენებზე. 1983-იდან რედაქტორობდა თავისივე დაარსებულ (სხვებთან ერთად) გამომცემლობა „შუქურას“, რ-ის მთავარი მიზანი ისრაელსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველებისთვის წმ. წიგნების გამოცემა იყო. მისი რედაქტორობით 1988–89 თელ-ავივში ქართ. ენაზე 5 ტომად გამოიცა ხუმაში (თორას ხუთწიგნეული), რ-ის ერთ-ერთი მთარგმნელი თავადვე იყო.

1994 დაჯილდოვდა ი. მაჩაბლის სახ. პრემიით, რ-იც 1995 საქართვ. პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ პირადად გადასცა ისრაელში.

თხზ.: ლექსები, ცხინვალი, 1952; გულის კარნახით, ცხინვალი, 1957; შიმშონის ხუმრობანი: ნახული, გაგონილი და მოგონილი, თელ-ავივი, 1978; ხალიანი ქალი და სხვა თხზულებანი, თელ-ავივი, 1981.

ს. მეტრეველი